Целью статьи является применение теории игр для исследования и решения задач в информационной сфере, возникающих в результате информационного противоборства.

ОСНОВНОЙ РЕЗУЛЬТАТ

Основной теоремой теории игр является теорема о равенстве максимина и минимакса, впервые сформулированная и введенная Джоном фон Нейманом [4]. Она устанавливает условия существования оптимальных стратегий и цены игры или противодействия.

Для прямоугольных игр вопрос существования решения игры представлен следующей теоремой [4].

Теорема 1. Пусть

$$A = \begin{Vmatrix} a_{11} & a_{12} & \dots & a_{1m} \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ a_{n1} & a_{n2} & \dots & a_{\mathrm{n}m} \end{Vmatrix}$$

– платежная матрица; $X = \|x_1, x_2, \dots, x_n\|$ и $Y = \|y_1, y_2, \dots, y_m\|$– смешанные стратегии игроков или сторон $C1$ и $C2$. Соответственно, математическое определение выигрыша игрока или стороны $C1$ определено следующим образом:

$$C(X,Y) = \sum_{i=1}^{n} \sum_{j=1}^{m} a_{ij}\, x_i x_j,$$

тогда величины $\max\limits_{X \epsilon S_n} \min\limits_{Y \epsilon S_m} C(X,Y)$ и $\max\limits_{Y \epsilon S_m} \min\limits_{X \epsilon S_n} C(X,Y)$ существуют и равны между собой.

Для непрерывных игр это теорема формулируется следующими образом [4, 5].

Теорема 2. Если M(x,y) есть непрерывной функцией двух переменных в замкнутом единичном квадрате, то величины

$$\max_{F \epsilon D} \min_{G \epsilon D} \int_0^1 \int_0^1 M(x,y)\, dF(x)\, dG(y), \tag{2}$$

$$\min_{G\in D}\ \max_{F\in D}\int_0^1\int_0^1 M(x,y)dF(x)dG(y) \tag{3}$$

существуют и равны между собой.

Доказательству этой теоремы при различных предположениях относительно функции выигрыша и пространств стратегий игроков были посвящены многие работы [4– 6].

Несмотря на то, что теорема фон Неймана и другие обобщающие ее теоремы убеждают в существовании цены и оптимальных стратегий для некоторых классов игр, они не дают никакого метода для нахождения решений любой конкретной игры. Ценность этих теорем заключается в том, что они устанавливают классы функций выигрыша, для которых решения игр существуют.

Типичной задачей исследования поведения противоборствующих сторон является оптимальное распределение средств нападения и защиты. Некоторые простейшие случаи были рассмотрены в [7], а более общие ситуации – в работах [4, 5, 8, 9].

Пусть имеются две стороны с антагонистическими интересами: сторона *C*1 стремится разрушить государственную систему и захватить сторону *C*2 с помощью имеющихся у неё сил и средств, а сторона *C*2 обороняется. Атакующие средства стороны *C*1 состоят из *S*1 типов, причем в некоторых условных единицах количество средств m-го типа равно a_m, так что суммарный поступательный потенциал стороны *C*1 составляет величину

$$\sum_{m=1}^{S_1} a_m = M_1.$$

.

Аналогично оборонительные средства стороны *C*2 подразделяются на *S*2 типов, причем количество средств *j*-го типа в условных единицах равно, а суммарный оборонительный потенциал стороны *C*2 составляет величину $\sum_{j=1}^{S^2} dj = M^2$.

Сторона *C*2 имеет *n* жизненно важных объектов (население, промышленность, экономику и т.д.) B_1, B_2, …, B_n причем объект B_1 оценивается некоторой условной величиной γ_i. Пусть также объекты B_1, B_2, …, B_n упорядочены по их ценности, т.е. $\gamma_{1\geq}\gamma_{2\geq}\gamma_{3\geq}\ldots\ {}_{\geq}\gamma_n$.

Предположим, что каждый незащищенный объект $B_{i(i=1,2,\ldots,n)}$ в результате атаки на него одной наступательной единицы *m*-го типа подвергнут разрушению или воздействиюе, ущерб от которых для *C*2 оценивается величиной $\gamma_i\,\varepsilon_m$. Величину воздействий при наличии наступательных и оборонительных средств будем считать пропорциональной разности их суммарных количеств, если эта разность положительна или равна нулю в противном случае.

Поведение сторон *C*1 и *C*2 определяется распределениями средств нападения и защиты.

Пусть сторона *C*1 для атак на объекты B_1 выделяет σ_{im} наступательных средств *m*-го типа, а сторона *C*2 для защиты и противодействие атаке на этом объекте выделяется μ_{ij} оборонительных средств *j*-го типа. При этом в отражении наступательных средств *m*-го типа принимает участие лишь λ_{mj} часть защитных средств *j*-го типа. Следовательно, распределение средств обороны можно описать матрицей

$$\bigwedge = \|\lambda_{\mathrm{mj}}\|,$$

где $0\leq \lambda_{mj} \leq 1$ $(1 \leq j \leq S_2, 1 \leq m \leq S_1)$, $\sum_{m=1}^{S_1}\lambda_{mj} = 1$.

Принимая величину результатов атаки на сторону *C*2, производимых воздействий наступательными средствами стороной *C*1, в качестве основной характеристики конфликта, получаем следующие выражения для суммарных потерь стороной *C*2:

$$M(\sigma,\mu) = \sum_{i=1}^{n}\gamma_i \max\left\{0, \sum_{m=1}^{S_1}\varepsilon_m\left(\sigma_{im} - \sum_{j=1}^{S_2}\lambda_{mj}\,\mu_{ij}\right)\right\}. \tag{4}$$

Сторона *C*2 своим поведением стремиться уменьшить величину суммарных воздействий, производимых наступательными средствами системы *C*1. Цель системы *C*1 противоположна. Поэтому функция (4) может быть принята в качестве платежа системы С2 системе *C*1, таким образом, получаем антагонистическую игру с функцией победы (выигрыша) (4). Функция (4) выпукла по μ при любом фиксированном σ.

Теорема3. Пусть *M*(*x,y*) – непрерывная по двум переменным функция победы (выигрыша) антагонистической игры, строго выпуклая по *y* для каждого *x* и имеющая в единичном интервале конечную первую производную по *y*. Тогда имеется единственная оптимальная стратегия для стороны *C*2, являющаяся ступенчатой функцией $I_{y_0}(y)$, причем константа y_0 – единственное решение уравнения

$$\max_{0\le x\le 1} M(x, y_0) = \upsilon,$$

а цена игры υ определяется формулой

$$\upsilon = \min_{0\le y\le 1} \max_{0\le x\le 1} M(x, y).$$

То есть с учетом теоремы 3 получаем замечание 1.

Замечание 1. В теореме 2 требования, положенные на функцию *M(x,y*) можно несколько ослабить.

1. Можно опустить условие существования производных. Но в этом случае нужно предполагать, что функция *M (x,y)* имеет обе односторонние производные в каждой точке интервала определения функции, за исключением, быть может, конечного числа точек. Тогда условия, наложенные на $M'x(x_{0,}y_1)$, $M'x(x_{0,}y_2)$, $M'y(x_{1,}y_0)$ и $M'y(x_{2,}y_0)$,соответствует условиям для односторонних производных в указанных точках.

2. Условие строгой выпуклости или строгой выгнутости функции выигрыша можно ослабить, заменив тем, что она, соответственно, просто выпукла или выгнута. Но в этом случае оптимальная стратегия для второй и первой стороны вообще не является единственной.

Следовательно, на основании теоремы 2 и с учетом замечания 1 сторона *C*2 имеет чистую оптимальную стратегию μ_0, определяемую условием

$$\inf_{\mu} \sup_{\sigma} M(\sigma, \mu) = \sup_{\sigma} M_{i'}(\sigma, \mu) = \Gamma,$$

а сторона *C*1 имеет смешанную оптимальную стратегию *F*(σ)*, представляющую собой определенную выпуклую комбинацию конечного числа чистых стратегий.

Введем обозначения:

$$X_i = \|\sigma_{i1}, \sigma_{i2}, \dots, \sigma_{iS_1}\|,$$
$$Y_i = \|\mu_{i1}, \mu_{i1}, \dots, \mu_{iS_1}\|,$$
$$I_i = \|\gamma_i\varepsilon_1, \gamma_i\varepsilon_2, \dots, \gamma_i\varepsilon_{S_1}\|.$$

Тогда функция (1) может быть записана в матричной форме:

$$\mathrm{M}(\sigma, \mu) = \sum_{l=1}^{n} max\,[0, I'\left(X_i - \bigwedge Y_i\right)], \tag{5}$$

где штрих означает транспортирование.

Там же функция (4) выпуклая по σ при любом фиксированном μ, то при построении оптимальной стратегии стороны *C*1 достаточно использовать рандомизацию лишь среди тех чистых стратегий, которые являются вершинами симплекса:

$$\sigma = \left\{\sigma: \sigma = \sum_{l=1}^{S_1} \delta_i\, a_i, \qquad \delta_i \ge 0, \sum_{i=1}^{S_1} \delta_i = 1\right\}.$$

Если взять во внимания, что функция *M(σ,μ)* выпукла, то σ при любом μ_1 получаем

$$M(\sigma,\mu) = M\left(\sum_{i=1}^{S_1} \delta_i\, a_i\right) \le \sum_{i=1}^{S_1} \delta_i\, M(a_i,\mu).$$

Обозначим через Γ_m часть цены борьбы (игры) Γ, которая может быть получена стороной $C1$ за счет применения атакующих средств m-го типа:

$$\left(\sum_{m=1}^{S_1} \Gamma_m = \Gamma\right), \text{ и } \theta = \left\|a_1, a_2, \dots, a_{S_1}\right\|.$$

Тогда, следуя теореме 2, для определения оптимальной стратегии стороны $C2$ получаем уравнение

$$\bigwedge Y_i - \theta = \Gamma_i, (i = 1,2, \dots, n) \tag{6}$$

Для решения этого матричного уравнения используем обобщенную обратную матрицу, введенную в работе [9]. Обобщенная обратная матрица A^+определяется для любой прямоугольной матрицы А следующими условиями:

$$AA+A=A,$$

$$A+AA^+=A^+,$$

$$(AA^+)^*=AA^+,$$

$$(A+A)^*=A+A$$

где A^* означает сопряженную транспортированную матрицу к матрице A.

В частности, для неособенной квадратной матрицы А таким образом определенная матрица A^+совпадает с обычной обратной матрицей A^{-1}. Из (6) получаем

$$Y_i = \bigwedge^{+} (\theta - \Gamma_i), (1 \le i \le n) \tag{7}$$

где $\bigwedge^+ = \left\|\beta_{ij}\right\|$ – обобщенная обратная матрица для матрицы $\bigwedge$.

Выражение (7) с учетом принятых выше обозначений принимает следующий вид:

$$\mu_{ij} = \sum \left(a_m - \frac{\Gamma_m}{\gamma_i \varepsilon_m}\right) \beta_{jm}\,, \tag{8}$$

где ($1 \le j \le S_2; 1 \le i \le n$).

Предположим, что сторона $C2$ использует свои оборонительные средства j-го типа среди $t(j)$ наиболее важных объектов, т.е.

$$\mu_{t(j)} + 1, j = \mu_{t(j)} + 2, \text{j} = \cdots = \mu_{nj} = 0. \tag{9}$$

Суммируя величины (8) по всем обьектам стороны С2 и учитывая (9), получаем

$$\sum_{i=1}^{t(j)} \mu_{ij} = t(j) \sum_{m=1}^{S_1} a_m\, \beta_{jm} - L_{t(j)} \sum_{m=1}^{S_1} \frac{\Gamma_m}{\varepsilon_m} \beta_{jm}, \tag{10}$$

где $L_{t(j)} = \sum_{i=1}^{t(j)} \frac{1}{\gamma_i}$.

Так как $\sum_{i=1}^{t(j)} \mu_{ij} = d_j$ по предположению, то из (10) имеем

$$\sum_{m=1}^{S_1} \frac{\Gamma_m}{\varepsilon_m} \beta_{jm} = \frac{1}{L_{t(j)}} \left[t(j) \sum_{m=1}^{S_1} a_m \beta_{jm} - d_j \right] \tag{11}$$

Обозначим

$$W = \left\| \frac{\Gamma_1}{\varepsilon_1}, \frac{\Gamma_2}{\varepsilon_2}, \dots, \frac{\Gamma_{S_1}}{\varepsilon_{S_1}} \right\|, R = \left\| \frac{d_1}{t_{(1)}}, \frac{d_2}{t_{(2)}}, \dots, \frac{d_{S_2}}{t_{(S_2)}} \right\|,$$

$$S = \left\| \begin{matrix} \frac{t_1}{L_{t(1)}}, 0, \dots, 0 \\ 0, \frac{t_2}{L_{t(2)}}, \dots, 0 \\ \dots, \dots, \dots, \\ 0, 0, \dots, \frac{t_{(S_2)}}{L_{t(S_2)}} \end{matrix} \right\|.$$

Тогда уравнение (11) можно записать в матричной форме:

$$\bigwedge^{+} W = S\left(\bigwedge^{+} \theta - R \right). \tag{12}$$

Умножив выражение (12) справа на матрицу $\bigwedge$ получаем,

$$\bigwedge \bigwedge^{+} W = W = \bigwedge S \left(\bigwedge^{+} \theta - R \right).$$

Отсюда следует

$$\Gamma_l = \varepsilon_l \sum_{j=1}^{S_2} \frac{\lambda_{\ell j}}{L_{t(j)}} \left[t_{(j)} \sum_{m=1}^{S_1} a_m \beta_{jm} - d_j \right], \tag{13}$$

где ($1 \le \ell \le S_1$).

Сторона $C1$ очевидно поступит оптимально, если будет нападать всеми силами с некоторыми вероятностями ρ_i на $t = \max t^*_{(j)}$ первых наиболее важных объектов системы $C2$, где $t^*_{(j)}$ соответствует максимальному значению цены противоборства:

$$\Gamma = \sum_{\ell=1}^{S_1} \Gamma_\ell = \sum_{\ell=1}^{S_1} \sum_{j=1}^{S_2} \frac{\varepsilon_\ell \lambda_{\ell j}}{L_{t(j)}} \left[t_{(j)} \sum_{m=1}^{S_1} a_m \beta_{jm} - d_j \right]. \tag{14}$$

При этом естественно считать, что математическое определение выигрыша от нападения всеми средствами на каждый из первых t объектов стороны $C2$ не должно зависеть от номера объекта, т.е. $\rho_i \gamma_i$=const.

Учитывая, что $\sum_{l=1}^{t} \rho_i = 1$, получаем

$$\rho_i = \begin{cases} \frac{c}{\gamma_i}, & 1 \le i \le t, \\ 0, & i > t, \end{cases} \tag{15}$$

где $C= \left(\sum_{i=1}^{t} \frac{1}{\gamma_i}\right)^{-1} = \frac{1}{L_t}$.

Таким образом, оптимальные стратегии стороны *C*1 и *C*2 определяются соответственно формулами (8) и (15). Однако при их выводе были допущены некоторые субъективные предположения, исходящие из здравого смысла. Поэтому убедимся в ходе непосредственной проверки, что найденные стратегии действительно являются оптимальными.

Итак, при любой стратегии стороны *C*1 стратегия (8) стороны С2 обеспечивает проигрыш не более величины

$$\gamma_i \sum_{\ell=1}^{S_1} \varepsilon_l \left\{ \sigma_{il} - \sum_{j=1}^{S_2} \left[\sum_{m=1}^{S_1} \left(a_m - \frac{\Gamma_m}{\gamma_i \varepsilon_m} \right) \beta_{jm} \right] \right\} \le$$

$$\le \left\{ \sum_{\ell=1}^{S_1} \varepsilon_l \left[a_l \sum_{j=1}^{S_2} \sum_{m=1}^{S_1} a_m \lambda_{\ell j} \beta_{jm} + \sum_{j=1}^{S_2} \sum_{m=1}^{S_1} \frac{\Gamma_m}{\gamma_i \varepsilon_m} \lambda_{\ell j} \beta_{jm} \right] \right\} =$$

$$= \gamma_i \left\{ \sum_{\ell=1}^{S_1} \varepsilon_l \, a_l - \sum_{\ell=1}^{S_1} \varepsilon_l \, a_l + \sum_{\ell=1}^{S_1} \frac{\Gamma_\ell}{\gamma_i} \right\} = \Gamma.$$

Наоборот, при любой стратегии стороны *C*2 стратегия (15) стороны *C*1 гарантирует ей выигрыш не менее

$$C_1 = \sum_{i=1}^{t} \frac{1}{\gamma_i L_t} \sum_{\ell=1}^{S_1} \varepsilon_{\ell \left[a_l - \sum_{j=1}^{S_2} \lambda_{\ell j} \mu_{ij} \right]} = \frac{t}{L_t} \sum_{\ell=1}^{S_1} \varepsilon_\ell \left[\sum_{j=1}^{S_2} \sum_{m=1}^{S_1} a_m \lambda_{ij} \beta_{jm} \right] -$$

$$- \sum_{i=1}^{t} \frac{1}{L_t} \sum_{\ell=1}^{S_1} \varepsilon_\ell \sum_{j=1}^{S_2} \varepsilon_{\ell j} \, \mu_{ij} \ge$$

$$\ge \sum_{\ell=1}^{S_1} \varepsilon_\ell \sum_{j=1}^{S_2} \left[t(j) \sum_{m=1}^{S_1} a_m \ \lambda_{\ell j} \beta_{jm} \right] \frac{t}{L_{t(j)}} -$$

$$\sum_{\ell=1}^{S_1} \varepsilon_\ell \sum_{j=1}^{S_2} \frac{\lambda_{\ell j} d_j}{L_{t(j)}} = \sum_{\ell=1}^{S_1} \varepsilon_\ell \sum_{j=1}^{S_2} \frac{\lambda_{\ell j}}{L_{t(j)}} * \left[t(j) \sum_{m=1}^{S_1} a_m \beta_{jm} - d_j \right] = \Gamma.$$

Из этих соотношений следует, что справедливы, все вышеуказанные ранее утверждения.

ВЫВОДЫ

Проведенные исследования показали, что применение теории игр позволяет довольно точно оценить сложившуюся конфликтную ситуацию при информационном противоборстве.

Полученные выражения позволяют оценить возможности как нападающей, так и защищающейся сторон в зависимости от выбранной оптимальной стратегии, т.е. предсказать результат осуществляемого информационного противоборства.

СПИСОК ЛИТЕРАТУРЫ

1. Грищук Р. В. Технологічні аспекти інформаційного протиборства на сучасному етапі / Р. В. Грищук, І. О. Канкін, В. В. Охрімчук // Захист інформації. – 2015. – Том 17. – № 1 – С. 80–86.
2. Грищук, Р.В. Проблемні питання створення та використання єдиного інформаційного простору для протистояння зовнішній інформаційній агресії / Р. В. Грищук, І. О. Канкін, Ю. І. Міхєєв // Інформаційна безпека. – 2017. – № 1 (25). – С. 5–9.
3. Сунь Цзы. Трактаты о военном искусстве. –Москва: ООО “Изд-во АСТ”; Санкт-Петербург: Terra fantastica, 2002. 558с.
4. Пирцхалава Л. Г., Хорошко В. А., Хохлачева Ю. Е., Шелест М. Е. Информационное противоборство в современных условиях –Киев: ЦП “Компринт”, 2019. 226с.
5. Грабар І.Г. Безпекова синергетика: кібернетичний та інформаційний аспекти: монографія / І. Г. Грабар, Р. В. Грищук, К. В. Молодецька; за заг. ред. д.т.н., проф. Р. В. Грищука. – Житомир : ЖНАЕУ, 2019. – 280 с.
6 Hryshchuk R. Methodological foundation of State’s information security In social networking services In conditions of hybrid war / R. Hryshchuk, K. Molodetska-Hrynhchuk // Information & Security: An International Journal – 2018. – Vol. 41. – С. 55–73.
7. Грищук Р. В. Теоретичні основи моделювання процесів нападу на інформацію методами теорій диференціальних ігор та диференціальних перетворень : монографія / Р. В. Грищук. – Житомир : РУТА, 2010. – 280 с.
8. Хорошко В. Применение теории игр для исследования процессов в информационном противоборстве / В. Хорошко, Р. Грищук, Н. Браиловский, Т. Щербак // Scientific and Practical Cyber Security Journal. – 2020. – № 4 (3). – С. 45–51.
9. Петросян Л. А. , Зенкевич Н. А., Семина Е. А Теория Игр – Москва:Высшая школа, Книжный дом “Университет”, 1998. 304 с.
10. Блекуэлл Д., Гиршин М. Теория игр и статических решений. –Москва:Изд-во “Иностранная лит-ра”, 2008. 360 с.
11. Карлин С. Математические методы в теории игр, программирование и экономика. –Москва: Изд-во “Мир”, 2000. 364с.
12. Воробьев Н. Н., Врублевская И. Н. Позиционные игры. –Москва: Изд-во “Наука”, 1967, 482 с.
13. Дрешер М. Стратегические игры. Теория и приложения –Москва: Изд-во “Советское радио”, 2004. 304 с.
14. Brodheim E., Herzer I., Russ L. A general dynamic model for air defence. url:https://pubsonline.informs.org/doi/abs/10.1287/opre.15.5.779. (дата обращения 10.02.2021).
15. Cohen N.D. An attack-defense game with matrix strategies. url:https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1002/nav.3800130403.(дата обращения 10.02.2021).

Scientific and Practical Cyber Security Journal (SPCSJ) 5(1): 58-66 ISSN 2587-4667 Scientific Cyber Security Association (SCSA)

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როლი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში

THE ROLE OF STATE ECONOMIC POLICY IN ENSURING NATIONAL SECURITY

ილია ხუციშვილი, „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტი - სამართლის სკოლის დოქტორანტი

Ilia Khutsishvili, LEPL - Academy Of The Ministry Of Internal Affairs Of Georgia- Master's Academic Degree of Law, New Vision University - The Ph.D Programme in Law, Doctoral Student

ანოტაცია*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ განვლილ პერიოდში მიმდინარე სიღრმისეული გარდაქმნები საჭიროებენ ადეკვატური მეცნიერული კვლევების გაძლიერებას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების შესწავლა წარმოადგენს.

ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ეკონომიკურ უსაფრთხოებას სახელმწიფოთა განვითარების ყველა ეტაპზე ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა დატვირთვას იღებდა. ზოგჯერ იგი დაკავ-შირებული იყო ქვეყნის სამხედრო ძლიერებასთან, განვითარებასთან, მოსახლეობის კეთილდღეობასთან, თუმცა მისი მთავარი მიზანი ყოველთვის იქნება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სახელმწიფოს წარმატება წარმოუდგენელია სუსტი ეკონომიკის ფონზე. სწორედ აღნიშნული საკითხების განხილვა და გაანალიზებაა საინტერესო, ვინაიდან სადაზვერვო-ოპერაციული ქმედებებით შესაძლებელია ქვეყანის ეკონომიკაზე ზემოქმედება სხვადასხვა ბერკეტით, რაშიც უდიდესი წვლილი სპეცსამსახურების საქმიანობას მიუძღვის.

კვლევის მიზანია, მოხდეს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი სხვადასხვა დამაზიანებელი საქმიანობის შესწავლა, ანალიზი და კრიტერიუმების დადგენა, თუ რა ინდიკატორები არსებობს რითაც დგინდება სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი ზემოქმედების საფრთხე, რომელიც თავისთავად ხელყოფს სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას, ამას შემდგომ მოჰყვება პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა და მძიმე შემთხვევაში - ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაც კი.

ABSTRACT

The profound transformations that have taken place since the collapse of the Soviet Union illustrate the need to strengthen adequate scientific research. One of the most important areas is the study of problems of economic security.

*ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს რომელიმე ორგანიზაციის ან უწყების ოფიციალურ პოზიციას.

Scientific and Practical Cyber Security Journal (SPCSJ) 5(1): 58-66 ISSN 2587-4667 Scientific Cyber Security Association (SCSA)

The safe development of the economy is one of the most important preconditions for ensuring the national security of the state. Economic security has always been of great importance at all stages of the development of States and has assumed various burdens at different stages of the development of civilization. At times, it was associated with the military power, development, and population welfare, but its main goal will always be to ensure the national security of the state.

A state cannot succeed against the background of a weak economy. It is interesting to discuss and analyze these issues, since intelligence and operational activities can affect the country's economy using various levers, to which the activities of the special services make the greatest contribution.

The purpose of the research is to study, analyze and define criteria for various harmful activities affecting economic security, to identify indicators for determining the threat of adverse impact on the economic security of the state, which in itself undermines the national security of the state resulting in loss of political independence and, in severe cases, even territorial integrity.

KEYWORDS: *safe development,* national security

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ერთ-ერთი სეგმენტი ეკონომიკური უსაფრთხოებაა. მისი უზრუნველყოფა სახელმწიფოსათვის განსაკუთრებულ საზრუნავს წარმოადგენს, ვინაიდან ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის რღვევა სახელმწიფოში იწვევს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რასაც შედეგად მოჰყვება ოპერატიული ვითარების გაუარესება მთელი ქვეყნისა თუ ცალკეული რეგიონების მასშტაბით. აღნიშნული ვითარება კი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების თავისუფლად მოქმედების ხელსაყრელი გარემოებაა. ამდენად, ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლაც უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად აქტუალური ხდება სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფაქტორების გამოკვლევა.

სახელმწიფოს არსი, მისი ისტორიული როლი, ამოცანა და დანიშნულება ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია სახელმწიფოს თეორიაში. მისი რაობის გარკვევას ცდილობდნენ ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, დღემდე. სახელმწიფო ხშირად წარმოადგენს ქვეყნის სინონიმს. სახელმწიფო არის ადამიანების ჯგუფი, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე, აქვთ საერთო კანონები, ადათ-წესები, ჰყავთ მთავრობა და შესწევთ უნარი წარმართონ საერთაშორისო ურთიერთობები.

არისტოტელეს განმარტებით, ნებისმიერი სახელმწიფო ერთგვარ კავშირს წარმოადგენს. სახელმწიფო არის ოჯახებისა და გვარების გაერთიანება, შექმნილი იმისათვის, რომ ჰქონდეთ ბედნიერი, სრულყოფილი და თავისუფალი ცხოვრება. არისტოტელე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა პილიტიკურ დამოუკიდებლობას, რომლის გარეშეც სახელმწიფო უბრალოდ ვერ იარსებებს და გაურკვეველ წარმონაქმნად გადაიქცევა.

ცნობილი გერმანელი იურისტის - ჰუფენდორფის განმარტებით კი სახელმწიფო არის რთული მორალური პიროვნება, რომელიც წარმოადგენს თითოეულ პიროვნებას. ეს ყველაფერი წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადამიანთა თავისუფლება და უსაფრთხოება. სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებების წარმოშობის საფუ-ძვლად იგი მიიჩნევს: საზოგადოებრივ ხელშეკრულებას (pactum) და დამორ-ჩილების შესახებ ხელშეკრულებას (decretum).

პირველი ხელშეკრულებით, ადამიანები ერთიანდებიან დიდ ჯგუფებად საზოგადოების სახით და შემდეგ დებენ მეორე ხელშეკრულებას, რომ იქნებიან მათ მიერ არჩეული ხელისუფლების მორჩილი, ადგენენ პირობებსა და განსაზღვრავენ თითოეულის უფლების ფარგლებს[1]. როგორც ჩანს, სახელმწიფოს ცნების განსაზღვრისას, ყველა ავტორი ასახელებს სახელმწიფოს ძირითად ნიშნად ტერიტორიასა და მოსახლეობას; ეს ბუნებრივიცაა, რადგან სახელმწიფო თავისთავად ვერ იარსებებს აბსტრაქტულად, ტერიტორიისა და მოსახლეობის გარეშე.

ამრიგად, სახელმწიფოს არსებობის ძირითადი ნიშნებია:

- განსაზღვრული ტერიტორიის არსებობა, რომელიც დასახლებულია მოსახლეობით;
- საჯარო ხელისუფლების არსებობა, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის მართვაზე;
- სახელმწიფოში გადასახადების სისტემა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას, თუმცა ყოველთვის აუცილებელია სახელმწიფოს არსებობისათვის.[2]

სახელმწიფო წარმოუდგენელია მოსახლეობის გარეშე, რომელიც აღქმული უნდა იყოს, როგორც სახელმწიფოს ქვაკუთხედი და მისი არარსებობობა მიწის კონკრეტულ ტერიტორიას აქცევდა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ფორმისა და წარმონაქმნის გარეშე აუთვისებელ ადგილად.

თითოეული ინდივიდი დაკავშირებულია სახლმწიფოსთან სხვადასხვა ფორმით, ესენი არიან ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე თუ სხვა პირები, რომლებიც სახლობენ ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე და იმყოფებიან ამ სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში. სწორედ ინდივიდთა ერთობაა საზოგადოება სახელმწიფოში, ხოლო საზოგადოებას, ე.ი. ერთ დიდ ჯგუფად ნებაყოფლობით გაერთიანებულ ინდივიდებს აქვთ საერთო ინტერესები და ღირებულებები. ისინი ერთმანეთთან სხვადასხვა ფორმით (საერთო შეხედულებები, ღირებულებები, კულტურა, ადათ-წესები, ტრადიციები თუ სხვ.) არიან დაკავშირებული, მათთვის საერთო ნიშანს ერთ სამართლებრივ სივრცეში მოღვაწეობა წარმოადგენს.

არსებობის თვალსაზრისით, საზოგადოება განაპირობებს სახელმწიფოს, რადგან სწორედ საზოგადოებას შეუძლია, დადებითი ან უარყოფითი კუთხით ზემოქმედება მოახდინოს სახელმწიფო განვითარებაზე. უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების მნიშვნელოვანი დაინტერესებისა და ზემოქმედების მიმართულებას ზემოქმედების ობიექტი სწორედ სახელმწიფოს საზოგადოება და მასში არსებული განწყობები წარმოადგენს, რადგან საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება (წინასწარ გათვლილი შედეგის მისაღწევად გარკვეული მოქმედებების განხორციელება რასაც საბოლოოდ მოჰყვება დაგეგმილი შედეგის დადგომა) ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია სპეცსამსახურების წარმატებული სამოქმედო არეალის შესაქმნელად, რომლის ძირითად მიზანს ძალაუფლების მოპოვება ან უკვე არსებულის შენარჩუნება წარმოადგენს, ამ მიზნით უძველესი დროიდან აქტუალურია საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების მეთოდები.

სოციალურ-პოლიტიკურ ლექსიკონში არსებული განმარტების თანახმად, საზოგადოებრივი აზრი - ესაა, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი, რაც გამოიხატება მათ შეფასებებში,

---

[1] „სახელმწიფო“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4393;

[2] გ. ინწკირველი. „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია.“ თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003 წ. გვ. 39-45;

მსჯელობასა და განწყობაში. საზოგადოებრივი აზრი არის იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ქვეყენაში არსებული წესრი-გისადმი, მას შეუძლია შეცვალოს, მხარი დაუჭიროს ან უარყოს გარკვეული საკითხები, რომლებიც ეხება ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს.[3]

მ.ჭაბაშვილის განმარტებით, საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების ერთ-ერთი მიზანია ის, რომ დადგეს წინასწარ გათვლილი შედეგი[4], რომელიც სასურველი იქნებოდა კონკრეტული დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ან ამ სახელმწიფოს პოლიტიკის გამტარებელი ხელისუფალისთვის.[5]

აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზვერვო ზემოქმედების პირობებში არსებობს მაღალი ალბათობა საზოგადოებრივი აზრის არარეალურზე მისამხრობად, რაც საზოგადოების სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედების მაპროვოცირებელი გარემოება შეიძლება გახდეს.

ნებისმიერი სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაში, სოცალური პრობლემების მოგვარებასა და ზოგადად, სახელმწიფოს მოკლე ან გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრაში.

მსოფლიოში ძნელად მოიძებნება თუნდაც ერთი ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც თავისთავად პოლიტიკური ძალაუფლება არ გააჩნია, მაგრამ მრავლად არიან ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც პოლიტიკურად გარკვეული ძალაუფლება გააჩნიათ, თუმცა ეკონომიკა სუსტ ან ძალიან რთულ მდგომარეობაში აქვთ.

ძლიერი ეკონომიკა განსაზღვრავს ქვეყნის სტრატეგიას რეგიონსა და საერთაშორისო ასპარეზზე. სწორედ ეკონომიკის განვითარებაზეა დამოკიდებული სახელმწიფოთა სამხედრო პოტენციალი, მოსახლეობის განათლება, დემოგრაფიული მდგომარეობა და სახელმწიფოთა განვითარების უამრავი სხვა ფაქტორი.

დღემდე მსოფლიოში წამყვან როლს ასრულებდნენ მძლავრი მილიტარისტული სახელმწიფოები, თუმცა დღეს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესების დაწყების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დროულ, სრულყოფილ და ობიექტურ შეფასებას.

ქვეყანაში სუსტი ეკონომიკის არსებობა, პირველ რიგში, ზიანს აყენებს ქვეყნის მოსახლეობას (საზოგადოებას), უარესდება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, რაც განაპირობებს მოსახლეობის უკმაყოფილებას ხელისუფლების მიმართ, ამით კი საფრთხე ექმნება სახელმწიფოს პოლიტიკურ, სოციალურ და სამართლებრივ სტაბილურობას. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ან არ მოხერხდება ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გამოსწორება, მაშინ შესაძლოა სახელმწიფომ თავიდან ვერ აიცილოს სახელმწიფო (მათ შორის ეკონომიკურ) უსაფრთხოებაზე დამაზიანებლად მოქმედი ისეთი ქმედებები, როგორიცაა: მასობრივ არეულობა, სამოქალაქო ომი, ეკონომიკური დივერსიები და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოთა შენარჩუნება-განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა არის სახელმწიფოში დადებითი ეკონომიკური მაჩვენებლების უზრუნველყოფა.

---

[3] სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი,“ 2004 წ. გვ. 258;

[4] მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება,“ თბილისი 1973, გვ. 231;

[5] „საზოგადოებრივი აზრი“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, განმარტებითი ლექსიონი, www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6359;

ამ მიმართებით უძველესი პერიოდიდან დღემდე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სახელმწიფოში ზომიერი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება.

ისტორიაში არაერთი მაგალითია იმისა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოში დიდ და შეუსაბამო გადასახადებსა და არასწორი ეკონომიკური სისტემის დანერგვას, ასე, მაგალითად:

ძვ.წ აღ. 241 წელს კართაგენში მოქირავნეების, მონებისა და ადგილობრივი თავისუფალი მოსახლეობის აჯანყება (აჯანყებულთა რიცხვი: 4000 კაცი)[6] აუტენელი გადასახადების გამო მოხდა, რადგან სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სიმძიმის გამო კართაგენის მოსახლეობა პრაქტიკულად გადახდისუუნარო იყო. აჯანყებამ ორი წელს გასტანა ძვ.წ აღ. 241-238 წწ. რასაც შედეგად მისი ჩახშობა, ე.ი. არსებული ხელისუფლების უკმაყოფილო პირთა წრის გაზრდა მოჰყვა, ამას თან დაერთო, კონტოლირებადი ტერიტორიების (კორსიკისა და სარდინიის) დაკარგვა და რომის იმპერიის კონტროლქვეშ გადასვლა.

აქედან გამომდინარე, კართაგენში აჯანყება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ოპერატიული მონაცემების არ არსებობით, ან არსებობით, თუმცა მისი გაუთვალისწინებლობის გამო მოხდა. აჯანყების ჩახშობის ფონზე მიღწეული იქნა სადაზვერვო მიზანი კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიების დაკარგვის კუთხით. ყოველივე ეკონომიკური დაზვერვის ნიშნებს შეიცავს.

532 წელს ბიზანტიასა და ირანს შორის დაზავების შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორმა ეგრისში ვაჭრობის მონოპოლია დააწესა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესება და მათი უკმაყოფილება გამოიწვია. 541 წელს უკმაყოფილო მოსახლეობამ დაიწყო აჯანყება ბიზანტიის მმართველობის წინააღმდეგ, მათ დასახმარებლად მიმართეს ირანს, რომელმაც ეგრისში შემოიყვანა თავისი ლაშქარი. ეგრისში გავლენის მოსაპოვებლად დაიწყო ომი ბიზანტიასა და ირანს შორის, რომელიც 20 წელს გაგრძელდა[7].

მყარ სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე რეალური სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუთვალისწინებლობით შეუსაბამო გადასახადების დაწესებამ, მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილების, პროტესტის ფონზე დაზვერვას დაქვემდებარებულმა სახელმწიფომ არჩია სხვა სახელმწიფოს აქტიური სადაზვერვო ზეგავლენის ქვეშ ყოფნა, რამაც მზვერავ სახელწიფოებს შორის ხანგრძლივი საომარი კონფლიქტის ინსპირირება გამოიწვია. ყოველივე ეს ეკონომიკური დაზვერვის ნიშნებს შეიცავს.

ქართლში სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ 1742-1745 წლებში, აჯანყების მიზეზი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეუსაბამო, დიდი გადასახადების ხარკის სახით დაწესება გახდა, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მოსახლეობას მძიმე

---

[6] ალექსანდრე წერეთელი, „ძველი რომის ისტორია“, თავი VI, „ბრძოლა რომსა და კართაგოს შორის“, თბილისი, თბილ. უნ-ტის გამ-ბა. ტ. II. 1961 წ. გვ. 75-86;

[7] მარიამ ლორთქიფანიძე. დავით მუსხელიშვილი, როინ მეტრეველი, „საქართველოს ისტორია“, „საქართველო VI-VII ს-ის დასაწყისში“, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“, ტომი II, 2012 წ. გვ. 79-81;

ტვირთად აწვა ჯარის სავალდებულო შენახვისათვის დაწესებული ყიზილბაშური ხარკი „მალუჯათი“ და სპარსული ჯარისთვის სურსათის გადასახადი „ნუქერი“[8].

აჯანყების ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვანძი ქვეყნის გარეთ-ასტრახანში იყო, სადაც თავი ჰქონდა შეფარებული სამეფო ტახტზე ასვლისათვის მებრძოლ ვახტანგ VI-ის ძეს ბაქარს. აჯანყების მუხტის შესამცირებლად სპარსელთა მხრიდან სისტემატური ხასიათი მიიღო ქართველთა ერთიანობის გამორიცხვის მიზნით, თავადების მოსყიდვით გადაბირებამ, რამაც თავადებს შორის კონფლიქტის გაღვივება გამოიწვია. შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ორი დიდი იმპერიის-ოსმალეთისა და ირანის დაპირისპირების ტერიტორიად ქცეულიყო საქართველო, რაც ქვეყნის დასუსტებისა და დაქუცმაცების მნიშვნელოვან პირობს წარმოადგენდა.

ამ შემთხვევაშიც არ განხორციელდა რეალური სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ ინფორმაციის სწორი ანალიზი. აჯანყების მიზანმიმართულ ორგანიზებას ქართლზე სადაზვერვო კონტროლის განმხორციელებელ სეგმენტში მესამე ქვეყნის (რუსეთი) მაღალი დონის სადაზვერვო შეღწევადობა განაპირობებდა, მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთს ქართლში გააჩნდა მყარი აგენტურული აპარატი ქართველი თავადების სახით. შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა ეკონომიკური ხასიათის სადაზვერვო ქმედებები პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

1865 წელს თბილისში ამქართა აჯანყების (მონაწილეები: ათი ათასამდე მუშა, ხელოსანი, მეეტლე, მემწვანილე და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა)[9] გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ქალაქის თავის - შერმაზან ვარ-თანოვის განკარგულება იყო დამატებითი გადასახადების დაწესების თაობაზე. აჯანყების განვითარების ქრონოლოგია ასე გამოიყურებოდა: მღელვარების და ხელისუფლებისადმი მშვიდობიანი პროტესტის მასობრივ პროტესტსა და არეულობებში გადაზრდა, რომელიც პოლიციის განყოფილების, ქალაქის თავის საცხოვრებელი სახლის დარბევით, გადასახადის ამკრეფის სიკვდილით, ხოლო ხელისუფლების მხრიდან აჯანყებულთა დარბევის შედეგად რამდენიმე ადამიანის სიკვდილით დასრულდა.

აქედან გამომდინარე, სახეზეა ეკონომიკური ხასიათის კონტრსადაზვერვო ინფორმაციის არქონა ან არსებობა და მის გამოუყენებლობას, რითაც მიღწეულ იქნა საქართველოზე კონტრსადაზვერვო კონტროლის მქონე რუსეთის იმპერიის სადაზვერვო მიზნები.

ეგვიპტის 2011 წლის რევოლუციის ძირითად მაინსპირირებელ გარემოებებს მრავალი ათეული წლის განმავლობაში სახელმწიფოს მმართველი სამოქალაქო და სამხედრო სექტორის წევრების კორუფციულ პროცესებში მასშტაბური მონაწილეობა წარმოადგენდა, რაც დამანგრევლად მოქმედებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ პროცესებზე და მდიდარი რესურსების პირობებში მოსახლეობა საკმარის სარგებელს ვერ ნახულობდა. ამ შემთხვევაში მასობრივი პროტესტი მასობრივ არეულობაში გადაიზარდა, რასაც თან დაერთო ქვეყნის პრეზიდენტის იძულებითი გადაყენების პროცესი; [10]

---

[8] მარიამ ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი, როინ მეტრეველი, „საქართველოს ისტორია“, „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათი XVIII საუკუნეში“, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“, ტომი III, 2012 წ, გვ. 393-394;

[9] ნ. ნიკოლაძე, „ივნისის დღეები თბილისში“, თბილისი, თბილ. უნივერსიტეტისტის გამომცემლობა. თხზ. ტომი 1, 1962 წ. გვ. 300-301;

[10] Al Jazeera, „Egypt's revolution, A chronicle of the revolution that ended the three-decade-long presidency of Hosni Mubarak“, http://www.aljazeera.com/news/middleeast/2011/01/201112515334871490.html;

2011 წლის 15 თებერვალს, კორუფციის მაღალი დონით და მოსახლეობის ცუდი საცხოვრებელი პირობებით უკმაყოფილო ხალხმა ანალოგიური სცენარით განავითარა მოვლენები ჩრდილო-აფრიკულ სახელმწიფო ლიბიაში.[11] ამ შემთხვევაში სახელმწიფოსათვის უფრო მძიმე შედეგები დადგა, რადგან მასიური არეულობა სამხედრო-შეიარაღებულ დაპირისპირებასა და სამოქალაქო ომში გადაიზარდა და საბოლოოდ ქვეყნის პრეზიდენტის - მუამარ კადაფის რეჟიმის ძალადობრივი დამხობით დასრულდა.

ეგვიპტისა და ლიბიის მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ სახელმწიფოს მმართველობით (მათ შორის ეკონომიკურ) სექტორში იყო უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მაღალი დონის სადაზვერვო შეღწევადობა, რაც ქვეყნის განვითარების პროცესების შემზღუდველი გარემოებაა და რითაც მიღწეულ იქნა არასასურველი ხელისუფალის თანამდებობიდან იძულებითი ჩამოშორების პროცესი სასურველი ხელისუფალის ჩანაცვლების უზრუნველსაყოფად.

2014 წლის ოქტომბერ-ნოემბერში უნგრეთში მოსახლეობის მხრიდან მასშტაბური ანტისამთავრობო გამოსვლების ორგანიზების ხელშემწყობი მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტი (ინტერნეტის პროვაიდერებისთვის გადასახადის გაზრდა) გახდა, რომლის შედეგადაც მოსახლეობას ინტერნეტმომსახურეობაზე გადასახადი უძვირდებოდა; ეს მათ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევდა. ამ შემთხვევაშიც მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რომელშიც 100 000 ადამიანი მონაწილეობდა, მასობრივ არეულობაში გადაიზარდა, რასაც მმართველი პარტიის ოფისების დარბევა-დაზიანება მოჰყვა.[12]

აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ ხელისუფლებას არ გააჩნდა ან გააჩნდა და არ გაითვალისწინა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. შესაბამისად ვერ იქნა გათვალისწინებული კონკრეტული ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილების შემთხვევაში მოსახლეობის დამოკიდებულება და მოსალოდნელი მავნე შედეგები სახელმწიფოსათვის.

2019 წლის ნოემბერში, ირანის დედაქალაქ თეირანში გამოვიდა ასიათასობით ირანის მოქალაქე, რომლებმაც გააპროტესტეს ირანში ნავთობის ფასის 50%-იანი ზრდა, რაც გამოიწვეულ იქნა აშშ-ის მიერ ირანისათვის სანქციების დაწესებით. აქციებმა მიიღო მასშტაბური ხასიათი, რაც საბოლოოდ ძალოვან ორგანიებთან დაპირისპირებითა და მსხვერპლით დასრულდა.[13] აღნიშნული ფაქტის გაანალიზებით, შეიძლება თქვას, რომ უცხო სახელმწიფოს სპეცსამსახურები ცდილობენ მოწინააღმდეგე სახელმწიფოზე კონტროლის დაწესებას, მათ შორის ეკონომიკურ სექტორზე, რაც აძლევს მათ საშუალებას მოახდინონ ზემოქმედება მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ხელისუფლებაზე გადაწყვეტილების მიღებისას ამათუ იმ საკითხში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებისადმი მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება, დაინტერესებულ უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურების ინტერესებში შედის, რომლებიც, რიგ შემთხვევაში მიზანმიმართულად ხელს უწყობენ, როგორც ასეთი განწყობების ინსპირირებას, ისე მათ მასობრივ საპროტესტო აქციებში, მასობრივ

---

11 Varun Vira and Anthony H. Cordesman Arleigh A. Burke Chair in Strategy,Center For Strategic & International Studies, „The Libyan Uprising“, 20 June 2011, http://csis.org/files/publication/110620_libya.pdf;

12, Pablo Gorondi, „Thousands in Hungary march against Internet tax“, Phys.org, http://phys.org/news/2014-10-thousands-hungary-internet-tax.html;

13 Hannah Brown, Why economic hardships finally sparked Iranian protests, Updated Dec 2, 2019, https://www.vox.com/world/2019/11/25/20980775/iran-protests-gas-prices;

არეულობებში, სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაზრდის ორგანიზებას. ყოველივე აღნიშნული კი ეკონომიკური დაზვერვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

მოყვანილი ფაქტების განხილვისა და გაანალიზების შედეგად, შეიძლება გამოიკვეთოს სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და მათ შორის, ეროვნულ უსაფრთხოებაზე ზემოქმედების ინდიკატორები:

- სახელმწიფოს ძლიერება ქვეყანაში სტაბილური და გამართული ეკონიმიკური სისტემის ჩამოყალიბების, დაცვა-განვითარების პროცესების ორგანიზებითაა შესაძლებელი, რომლის მიღწევა სახელმწიფოს სპეცსამსახურების მიერ წარმატებული სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის განხორციელებით არის შესაძლებელი;
- ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანებს აქვთ უდიდესი შესაძლებლობები განახორციელონ მასშტაბური სადაზვერვო საქმიანობა საკუთარი ინტერესების გასატარებლად და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით;
- ეკონომიკური დაზვერვის მნიშვნელოვან ინტერესს მოწინააღმდეგე სახელმწიფოში ეკონომიკური სექტორის დაზიანება ან/და ეკონომიკური ექსპანსია წარმოადგენს, რომლითაც შესაძლებელია მიღწეულ იქნას ეკონომიკური არასტაბილურობა, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების დაძაბვა, რაც შემდგომში გამოხატულებას ჰპოვებს მასობრივ პროტესტებში, რა დროსაც არსებობს საფრთხე მისი მასობრივ არეულობასა და სამოქალაქო ომში გადაზრდისა და კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის;
- მასობრივი არეულობის გამომწვევია ისეთი სახის გადასახადების დაწესება, რომლებიც მასშტაბურად განაპირობებს მოსახლეობის უარყოფით განწყობას, ამ კუთხით აღსანიშნავია სახელმწიფოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრება;
- ეკონომიკური დაზვერვისათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება როდესაც სახელმწიფოს (მათ შორის კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის სპეცსამსახურებს) არ გააჩნიათ ოპერატიული მონაცემები სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ ან გააჩნიათ და არ იყენებენ მათ მიზანმიმართულად;
- სახელმწიფოს ეკონომიკურ სეგმენტზე კონტრსადაზვერვო ინფორმაციის არ არსებობა, ან არსებობა და მისი გაუთვალისწინებლობა ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების რღვევის მაინსპირირებელი მნიშვნელოვანი წინაპირობაა;
- ეკონომიკური დაზვერვის ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიო ისტორიაში არსებობს არაერთი პრაქტიკა მოწინააღმეგე სახელმწიფოს არასასურველი ხელისუფლება ჩანაცვლებულ იქნას უცხო სახელმწიფოს სასურველი ხელისუფლებით, ფარული სადაზვერვო ხასიათის ოპერაციული ღონისძიებების განხორციელებით.[*]

[*] ამ კუთხით აღსანიშნავია 1954 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ ჩატარებული ფარული სადაზვერვო ოპერაცია სახელწოდებით „PBSUCCESS“ გვატემალაში, რომელსაც კანონიერი პრეზიდენტის ხაკობო არბენზის გადაყენება და ოპერაციის ორგანიზატორი სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი მმართველის კარლოს კასტილიო არმასის სამხედრო რეჟიმის დამყარება მოჰყვა.

ბიბლიოგრაფია

1. „სახელმწიფო“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4393;
2. გ. ინწკირველი. „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია.“ თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003 წ. გვ. 39-45;
3. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი,“ 2004 წ. გვ. 258;
4. მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება,“ თბილისი 1973, გვ. 231;
5. „საზოგადოებრივი აზრი“, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, განმარტებითი ლექსიონი, www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6359;
6. ალექსანდრე წერეთელი, „ძველი რომის ისტორია“, თავი VI, „ბრძოლა რომსა და კართაგოს შორის“, თბილისი, თბილ. უნ-ტის გამ-ბა. ტ. II. 1961 წ. გვ. 75-86;
7. მარიამ ლორთქიფანიძე. დავით მუსხელიშვილი, როინ მეტრეველი, „საქართველოს ისტორია“, „საქართველო VI-VII ს-ის დასაწყისში“, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“, ტომი II, 2012 წ. გვ. 79-81;
8. მარიამ ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი, როინ მეტრეველი, „საქართველოს ისტორია“, „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათი XVIII საუკუნეში“, თბილისი, გამომცემლობა „პალიტრა L“, ტომი III, 2012 წ, გვ. 393-394;
9. ნ. ნიკოლაძე, „ივნისის დღეები თბილისში“, თბილისი, თბილ. უნ-ტის გამ-ბა. თხზ. ტომი 1, 1962 წ. გვ. 300-301;
10. Al Jazeera, „Egypt's revolution, A chronicle of the revolution that ended the three-decade-long presidency of Hosni Mubarak“, http://www.aljazeera.com/news/middleeast/2011/01/201112515334871490.html;
11. Varun Vira and Anthony H. Cordesman Arleigh A. Burke Chair in Strategy,Center For Strategic & International Studies, „The Libyan Uprising“, 20 June 2011, http://csis.org/files/publication/110620_libya.pdf;
12. Pablo Gorondi, „Thousands in Hungary march against Internet tax“, Phys.org, http://phys.org/news/2014-10-thousands-hungary-internet-tax.html;
13. Hannah Brown, Why economic hardships finally sparked Iranian protests, Updated Dec 2, 2019, https://www.vox.com/world/2019/11/25/20980775/iran-protests-gas-prices;